საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ბრძანება

თბილისი

MES 2 21 0000598444

18/06/2021

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის VIII და IX კლასების ზოგიერთი საგნის სასკოლო სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტებისათვის გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის N118 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილისათვის - ეკატერინე დგებუაძისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 18 ივნისის N598303 ბრძანების საფუძველზე და „ფიზიკურ ან იურიდიული პირთა/პირებთა, (რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარუდგენს გრიფირების განაცხადს კონკრეტული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების თხოვნით) საჩივრების მიღებისა და განხილვის მიზნით დროებითი კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 17 მაისის N619 ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი დროებითი კომისიის გადაწყვეტილებებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის 2021 წლის 18 ივნისის N592896 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გრიფის მინიჭებაზე უარი ეთქვას ამ ბრძანების დანართით განსაზღვრული სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტებს.

2. დაევალოს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრის პირველი მოადგილე

ეკატერინე დგებუაძე